აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 21

14 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მ. წულუკიძე, ქეთევან ჯიქია

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის შესწორებული პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის მაჟორიტარული სისტემის ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ.

2. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის პროპორციული სისტემის ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ.

3. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემის წესის შესახებ.

4. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ.

5. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

6. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ.

7. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ.

8. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის კენჭისყრის დღისა და კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცედურის განსაზღვრის თაობაზე.

9. სხვადასხვა

1. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის მაჟორიტარული სისტემის ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს:	უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის მაჟორიტარული სისტემის ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ ისაუბრა 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის წარმოდგენილი მაჟორიტარული

სისტემის ბიულეტენის ტექსტის ნიმუშზე და აღნიშნა, რომ ეს არის განსხვავებული სახით დამზადებული ბიულეტენები, სადაც გარკვევით არის მინიშნებული როგორც ოლქის, ასევე საარჩევნო უბნის ნომრები, რაც გამორიცხავს ბიულეტენის სხვა ოლქში ან სხვა უბანზე გამოყენებას. გარდა ამისა, ჩამოთვლილია მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები რიგითობის მიხედვით. ფურცელს უკანა მხარეს მოთავსებული აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის –რეგისტრატორის ხელმოსაწერი ადგილი, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის-დამმოწმებელის ხელმოსაწერი ადგილი.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

2. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის პროპორციული სისტემის ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის პროპორციული სისტემის ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ განაცხადა, ეს არის ბიულეტენის ახალი ფორმა. კერძოდ, ყველა ბიულეტენზე ინდივიდუალურადაა დაწერილი ოლქების ნომერი, რომლის გვერდითაა დაბეჭდილი № საარჩევნო უბანი. ე. ი. არა მარტო ოლქის, არამედ უბნის ნომერიც იქნება მითითებული. ბიულეტენში ჩამოთვლილია ყველა პარტიის ნომერი. ფურცელს უკანა მხარეს მოთავსებული აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის –რეგისტრატორის ხელმოსაწერი ადგილი, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის-დამმოწმებელის ხელმოსაწერი ადგილი.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

3. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემის წესის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემის წესის შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გარშემო. მან აღნიშნა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-4 დღისა, საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან ერთად, უმაღლეს საარჩევნო კომისიას უნდა გადასცენ სათანადო წესით დალუქული ამომრჩეველთა სიები:

1. ამომრჩეველთა ერთიანი ნაბეჭდი სიის (სამაგიდო) ფორმები;
2. ამომრჩეველთა ნაბეჭდი სიის შესწორებათა აღრიცხვის რეესტრის ფორმები;
3. ამომრჩეველთა ერთიანი სიის კენჭისყრის დღეს დაზუსტების რეესტრის ფორმები;

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

4. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ ისაუბრა წარმოდგენილი პროექტის გარშემო. მან აღნიშნა, რომ ამ დადგენილების პროექტში სხვა არაფერია მოცემული, თუ არა კანონით განსაზღვრული საარჩევნო პროცედურის გავლის თანამიმდევრობა, თუ ვინაა შესაყვანი ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში, ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სია, როგორ მოწმდება ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სია და ა. შ.

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

5. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა მამუკა წულუკიძემ, სიმონ ჩხაიძემ, გიზო მჭედლიძემ, რომელთაც აღნიშნეს, რომ დადგენილების პროექტის პირველ მუხლში ნათლადაა მინიშნებული საერთო რაოდენობა, კერძოდ, კენჭისყრის დღემდე რეგისტრირებულ ამომრჩეველის რაოდენობას დამატებული ამომრჩეველთა ის რაოდენობა, რომელიც საარჩევნო უბნებზე მივა და რეგისტრაციას გაივლის კენჭისყრის დღეს.

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9

წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

6. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა და ერთხმად აღნიშნეს, რომ გაეცნენ დადგენილების პროექტს და მიაჩნიათ, რომ საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისადაა განსაზღვრული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა. კერძოდ, საარჩევნო ბიულეტენები იკინძება ბლოკნოტის სახით ას-ას ცალად, ამომრჩეველს, რომელმაც არ გაიარა მარკირების პროცედურა, უფლება არა აქვს მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა, დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი რა შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვალდებულება და ა.შ.

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

7. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა გიზო მჭედლიძემ, სიმონ ჩხაიძემ, ქეთევან ჯიქიამ აღიარეს, რომ დადგენილების პროექტში ნათლადაა წარმოდგენილი ყველა პროცესი, რასაც მოიცავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, ყველა პროცედურის დაცვით, რაც რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით "საქართველოს საარჩევნო კოდექსი".

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

8. დადგენილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის კენჭისყრის დღისა და კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცედურის განსაზღვრის თაობაზე

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის კენჭისყრის დღისა და კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცედურის განსაზღვრის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ იკინძება საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები ბლოკნოტების სახით, ბლოკნოტები ინომრება დაწყებული 00001-დან საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებისათვის და 001-დან საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმებისათვის, რომ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების თითოეული სახის შემაჯამებელი ოქმები აკინძულია ბლოკნოტებად, რომლებიც შედგება თავფურცლისაგან და ასევე საარჩევნო კომისიის კუთვნილი ოქმისაგან (ყდის უკანა ფურცელი)

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე